26.09.14
№ 734848

Შ.პ.ს ,,ალგორითმი"-ს დირექტორს
ბატონ გივი კორახაშვილს
(თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-6კმ)

ბატონო გივი,

მოგეხსენებათ, რომ სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-სა და შ.პ.ს ,,ალგორითმს" შორის 2014 წლის 30 ივნისს დადებული №32050102/02/93 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000021) შესაბამისად, მიმწოდებელი, შ.პ.ს ,,ალგორითმი" ვალდებული იყო ხელშკრულების დანართის შესაბამისი საქონელი, 84 (ოთხმოცდაოთხი) ცალი სტანდარტული პერსონალური კომპიუტერი (მაგიდის კომპიუტერი) სააგენტოსათვის მოეწოდებინა ხელშეკრულების დადების შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაციის პირველი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში, ხოლო ყველა შემდგომი მოთხოვნის შემთხვევაში - მოთხოვნიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენდა 63393,96 (სამოცდასამიათასსამასოთხმოცდაცამეტი) ლარს, ერთი ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის (მაგიდის კომპიუტერი) ფასი კი 754,69 (შვიდასორმოცდათოთხმეტი ლარი და 69 თეთრი) ლარს.

შ.პ.ს ,,ალგორითმი"-ს მიერ კომპიუტერები მოწოდებული არ იქნა, რის გამოც მხარეთა შორის 2014 წლის 30 ივნისს დადებული №32050102/02/93 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 13.1 პუნქტის შესაბამისად და 2014 წლის სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000021) სატენდერო კომისიის 2014 წლის 9 სექტემბრის №8 ოქმის, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 7 მარტის №8 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები''-ს მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, სააგენტო წყვეტს, შ.პ.ს ,,ალგორითმსა" და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს შორის 2014 წლის 30 ივნისის №32050102/02/93 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000021), თქვენ კი შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გეკისრებათ ჯარიმა, ხელშეკრულებით შესასყიდი კომპიუტერების ღირებულების 63393,96 (სამოცდასამიათასსამასოთხმოცდაცამეტი) ლარის 5%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 3169,69 (სამიათასასსამოცდაცხრა ლარი და 69 თეთრი) ლარს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, გთხოვთ მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარიმო თანხა 3169,69 (სამიათასასსამოცდაცხრა ლარი და 69 თეთრი) ლარი 2014 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით გადარიცხოთ შემდეგ ანგარიშზე : სახელმწიფო ხაზინა : კოდი 220101222, ანგარიშსწორების ანგარიში 200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 302003270, საფუძველი 2014 წლის 30 ივნისის №32050102/02/93 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000021).

პატივისცემით,
დირექტორი
გრიგოლ გაგოშიძე